მათემატიკის ოლიმპიადის ტესტების ნიმყუშები

III კლასი

1. გამოთვალეთ $19 - 17 + 9 - 3 + 11$
   A. 7 B. 11 C. 19

2. გამოიცანით რა ციფრი უნდა ეწეროს ბოლო, ანუ მეექვსე ადგილზე? 0, 3, 6, 9, 12, . . .
   A. 7 B. 15 C. 19

3. ლიკას ორივე ხელის ნეკა თითზე ორ-ორი ბეჭედი უკეთია, დანარჩენ თითებზე კი - თითო. სულ რამდენი ბეჭედი უკეთია ლიკას?
   A. 8 B. 12 C. 15

4. გამოთვალეთ ჩამოთვლილი მაგალითები და აირჩიეთ მათგან ყველაზე დიდი:
   A. $9 + 8 - 9 - 8$ B. $9 - 8 + 9 - 8$ C. $9 - 8 + 9 + 8$

5. რამდენი რიცხვია მეტი 23-ზე და ნაკლები 30-ზე?
   A. 8 B. 6 C. 10